

ცვლილებები ძალაშია 01/02/2018–დან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ დამატებით სახელშეკრულებო პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალა დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„მუხლი 7. მსესხებლის სპეციალური ვალდებულებები. პროცენტის ცვლილება ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში

1. კრედიტის გაცემის შემდგომ მსესხებელი ვალდებულია, იურიდიული პირის შემთხვევაში 3 (სამი), ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში 1 (ერთი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს საკუთარი შემოსავლ(ებ)ის/ჩარიცხვების და/ან სახელფასო ჩარიცხვ(ებ)ის და ყველა საბანკო ბრუნვ(ებ)ის სს „პროკრედიტ ბანკში“ გადმოტანა და შენარჩუნება მთელი სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. მსესხებელი ასევე ვალდებულია ბანკთან ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებული ჩარიცხვები/შემოსავლ(ებ)ი და/ან სახელფასო ჩარიცხვ(ებ)ი შეინარჩუნოს სს პროკრედიტ ბანკში მთელი სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გაზარდოს საკრედიტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი დაკრედიტების ნებისმიერ სტადიაზე არაუმეტეს 2%-ის ოდენობით (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის ოდენობა განისაზღვრება ბანკის შეხედულებით, 2%-ის ფარგლებში).“